

შპს კეონი აკადემია

2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
(იანვარი-დეკემბერი)

ანგარიშში წარმოდგენილია 2022 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში მუშაობის შედეგები აკადემიის 2020-2026 წწ სტრატეგიულ მიზნებთან და 2022 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით

თბილისი

2022

სარჩევი

1. ხედვა, მისია , ღირებულებები -----	3
2. კეონი აკადემიის SWOT ანალიზი -----	4
3. 2020-2026 წწ სტრატეგიული მიზნები -----	5
4. სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება -----	6
5. სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა-----	
6. სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება-----	7
7. სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება-----	10
8. სტრატეგიული მიზანი 5 პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარება-----	11
9. 2020-2022 წლების მუშაობის შედეგები აკადემიის SWOT ანალიზთან მიმართებაში -----	14

შპს კეონი აკადემიის ხედვა, მისია , ღირებულებები

აკადემიის მისია თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება.

აკადემიის ხედვა იყოს ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში, რომელიც ვითარდება ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე. ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება დაინტერესებული საზოგადოებისათვის სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებით.

აკადემიის ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი;
- ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- გუნდურობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;

კეონი აკადემიის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი;
- თანამედროვე სტანდარტების სასწავლო გარემო;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა;
- პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გავლა თანამედროვედ აღჭურვილ სალონებში;
- კვალიფიციური პერსონალი;
- ეფექტური პიარ კამპანია;
- განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი;
- კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა;

სუსტი მხარეები

- ქართულ ენაზე ,თმისა და სილმზის მომსახურების მიმართულებით, პროფესიული სასწავლო ლიტერატურის არ არსებობა;
- პედაგოგთა მიერ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების დაბალი დონე, ენობრივი ბარიერი;
- სწავლა-სწავლების გამოცდილების არ ქონა;

შესაძლებლობები

- საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში აქტიური ჩართულობა;
- მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;
- ევროპაში აპრობირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა ;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება;

საფრთხეები

- არასტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა;
- სტუდენტების საშუალო განათლების დაბალი დონე;
- სახელმწიფო დაფინანსების წესი კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში;

შპს კეონი აკადემიის 2020-2026 წწ სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 5 სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2022 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ხელშეწყობა.

1.საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. აღნიშნული ამოცანა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: მომზადების პროგრამების შეფასებას და პროფესიული მომზადების პროგრამებში საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას. იანვარი-თებერვლის პერიოდში განხორციელდა კვლევისთვის საჭირო კითხვარების ადმინისტრირება და მიმდინარე წელს ჩატარდა სამივე პროგრამის ფარგლებში მიღებული მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა, ასევე აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ როგორც მსმენელები, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირები კმაყოფილები არიან პროგრამის შინაარსით და სწავლების სპეციფიკით, ასევე საგანმანათლებლო რესურსით. კურსდამთავრებულები და დამსაქმებლებიც კმაყოფილი არიან სასწავლო თემატიკით, სწავლების მეთოდით. დამსაქმებლების მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მომზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილს დასჭირდა დამატებითი ტრენინგები მუშაობის დაწყების წინ. აღნიშნული კვლევების შედეგად გამოვლინდა გარკვეული რეკომენდაციები, რეკომენდაციების ნაწილი მიმართულია დასაქმების მაჩვენებლს გაზრდის კუთხით, ხოლო სასწავლო პროგრამებთან მიმართებით გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია- სასწავლო დროის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ კეონი აკადემიას აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს 2020 წელს და შესაბამისად 2023 წელს ხელახლა უწევს მომზადების პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება, შესაბამისად ახალი პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნება მსმენელთა რეკომენდაციები.

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 15.11.2022 N 10988

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 17.10.2022 N 9632

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 01.06.2022 N 4234

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 30.05.2022 N 4149

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 11.03.2022 N 1608

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 14.03.2022 N 1642

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 2 თებერვლის ბრძანება N 1-06

2. სწავლა /სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა. აღნიშნული ამოცანა 2022 წელს მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: ვერიფიკაციის განხორციელებას პროფესიული მომზადების სამივე საგანამანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ვერიფიკაცია განხორციელდა 2022 წლის თებერვლში და მისში სამივე პროფესიული მომზადების პროგრამაზე. ვერიფიკაციის შედეგად რაიმე ტიპის ხარვეზი/შეუსაბამობა არ გამოვლენილა. აღსანიშნავია რომ 2022 წლის თებერვალში შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციები უკვე შესრულებულია, რაც დაადასტურა 2022 წლის მისში ჩატარებულმა ვერიფიკაციამ.

მტკიცებულებები: კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლია 11 თებერვლის ბრძანება N 1-07

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლია 23 მაისის ბრძანება N 1-17

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 984 16.02.2022

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 4132 30.05.202

3. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება. კეონი აკადემიაში 2021 წლის დეკემბერში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა. აღნიშნული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მოთხოვნად მიმართულებებად დასახელებულია შეღებვის ტექნიკების ცოდნა. (გალიავება, ომბრე და AIRTOUCH) . შესაბამისად 2022 წელს დამტკიცდა შიდა სასერთიფიკატო კურსები „თმის მელირება“ და „ ფრჩხილის დაგრძელება“. თმის მელირების კურსი მოიცავს AIRTOUCH- ის ტექნიკის შესწავლას.

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 02.12.2021 N 7565

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება N 1-37

სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2022 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, მატერიალური რესურსების

განვითარება, საინფორმაციო რესურსების განვითარება, ორგანიზაციული კულტურის განვითარება.

1.ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიაში დაგეგმილია მინიმუმ მსმენელთა 9 ჯგუფის დაკომპლექტება პროფესიული მომზადების პროგრამებზე და ახალი სასერთიფიკატო პროგრამების ფარგლებში მინიმუმ ორი ჯგუფის დაკომპლექტება. აღნიშნული ამოცანა ვერ შესრულდა, ვინაიდან 2022 წელს აკადემიაში დაკომპლექტდა 6 ჯგუფი, აქედან სამმა ჯგუფმა სწავლა დაასრულა 2022 წელს, ხოლო სამი ჯგუფი სწავლას დაასრულებს 2023 წელს. აღნიშნული ჯგუფების დაკომპლექტება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით და მათი დაფინანსებით. რაც შეეხება შიდა სასერთიფიკატო პროგრამების ამოქმედებას, პროგრამები შემუშავდა მიმდინარე წლის ოქტომბერში თუმცა მათზე მიღება არ გამოცხადებულა, ვინაიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაიწყო 8 ნოემბერს, ასევე ნოემბერში გაფორმდა ხელშეკრულება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან და შესაბამისად აკადემია ვეღარ უზრუნველყოფდა კიდევ ორი ჯგუფის გამტარუნარიანობას. აქედან გამომდინარე სასურველია აღნიშნული აქტივობის განხორციელება გადავიდეს 2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

მტკიცებულებები:

მომსახურების (პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N0514-თ 21.04.2021 წ.

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის ბრძანება N 2-04

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 1 ივნისის ბრძანება N 2-07

მომსახურების (პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 0501-28 09.11.2022

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N 2-11

2.მატერიალური რესურსების განვითარების მიზნით იანვარი-ივნისის პერიოდში აკადემიაში დაგეგმილი იყო წიგნადი ფონდის განვითარება მინიმუმ 10 სახელმძღვანელოთი რაც შესრულებულია. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ გადმოეცა 17 სახელმძღვანელო. ჯამში აღნიშნული პერიოდისთვის აკადემიის წიგნადი ფონდი გაზრდილია 27 სახელმძღვანელოთი.

მტკიცებულება:

www.keuneacademy.ge.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მხრიდან გადმოგზავნილი მიღება-ჩაბარების აქტები.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარების კუთხით აკადემიაში განხორციელდა ინვენტარიზაცია. რაც შეეხება კომპიუტერების გამართულ მუშაობას წარმოდგენილია ინფრმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის მოხსენებითი ბარათი, საიდანაც დგინდება რომ აკადემიაში კომპიუტერული ტექნიკა გამართულია.

მტკიცებულება:

**ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის მოხსენებითი ბარათი N2927
15.04.2022**

ინვენტარიზაციის ჩატარებისა და მატერიალური რესურსების შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმი N 10 05.10.2022

**ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის მოხსენებითი ბარათი N 6259
31.08.2022**

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 6 სექტემბრის ბრძანება N 1-31

3.საინფორმაციო რესურსების განვითარების კუთხით აკადემიაში დაგეგმილი იყო მსმენელთათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის ერთიანი ელ ფოსტის ჯგუფების ამოქმედება რაც შესრულდა და პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის გადახედვა. აღნიშნული მექანიზმი გადაიხედა, გამოვლინდა არსებულ მექანიზმში ცვლილებების შეტანის საჭიროება, რის შედეგადაც აკადემიაში გაიწერა პერსონალური მონაცემების დაცვის ახალი მექანიზმი.

მტკიცებულება:

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 18 აპრილის ბრძანება N 1-14

4.ორგანიზაციული კულტურის განვითარების კუთხით დაგეგმილი იყო თიმბილდინგის ორგანიზება, საქველმოქმედო აქციის განხორციელება და პროფესიული განათლების პროგრამის განმახორციელებელი პირების კოლაბორაციის გაძლიერება. აკადემიაში დაიგეგმა თიმბილდინგი 2022 წლის ივნისში. თიმბილდინგის ფარგლებში აკადემიის თანამშრომლებს მიეცა საშუალება არაფორმალურ გარემოში გაცნობოდნენ და დაახლოვებოდნენ ერთმანეთს, ასევე 2022 წლის დეკემბერში აკადემიის თანამშრომლებისთვის გაიმართა კორპორატიული საღამო, რამაც ასევე შეუწყო ხელი თანამშრომელთა დაახლოებას. რაც შეეხება საქველმოქმედო აქციას 2022 წლის 23 თებერვალს

აკადემიაში სტუმრად იმყოფებოდნენ დღის ცენტრის „ახალი ნაბიჯების“ დამფუძნებელი ნინო ქუსშიაშვილი და დღის ცენტრის ბენეფიციარები. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში კეონი აკადემიის „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და პროფესიული მომზადების პროგრამების: თმის შეჭრა“ და „თმის ღებვა“ კურსდამთავრებულებმა აღნიშნული ცენტრის ბენეფიციარებს გაუწიეს სხვადასხვა სახის სალონური მომსახურება. ასევე აკადემიის ადმინისტრაციულმა პერსონალმა, პროფესიულმა სტუდენტებმა აკადემიის დამფუძნებელ BEAUTY LIFE თან ერთად, განახორციელეს საქველმოქმედო აქცია, წინა საახალწლო პერიოდში რაც შეეხება პროფესიული განათლების პროგრამის განმახორციელებელი პირების კოლაბორაციის გაძლიერებას, აღნიშნული კუთხით მუშაობა დაიწყება ახალი სასწავლო წლიდან.

მტკიცებულებები :www.keuneacademy.ge

სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2022 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, პროფორიენტაციის სისტემის განვითარება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება.

1. **კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის** მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა სამი სემინარი სილამაზის სალონებში საქართველოს მასშტაბით. სემინარები ჩატარდა გორში, ქუთაისში და კახეთში. აღნიშნულ სემინარებს ჯამში დაესწრო 20 სილამაზის სალონის წარმომადგენელი. სემინარზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია კეონი აკადემიის შესახებ. ასევე მომზადდა ერთი ვიდეო რგოლი აკადემიის შესახებ რომელიც განთავსდა აკადემიის ვებ გვერდზე და ფეიბუქ გვერდზე.

მტკიცებულებები:www.keoneacademy.ge

2. **პროფორიენტაციის განხორციელების მიზნით** ჩატარდა შეხვედრები თბილისის მასშტაბით 50 საჯარო სკოლაში. შეხვედრების ფარგლებში 9-12 კლასის მოსწავლეებს და სკოლის ადმინისტრაციას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღოთ ინფორმაცია კეონი აკადემიის მიერ განხორციელებულ პროგრამების შესახებ. ეს სკოლებია: N 124 საჯარო სკოლა; N 106 საჯარო სკოლა; N 131 საჯარო სკოლა; N 82 საჯარო სკოლა; N 83 საჯარო სკოლა; N 85 საჯარო სკოლა; N 94 საჯარო სკოლა; N 163 საჯარო სკოლა; N 103 საჯარო სკოლა; N 172 საჯარო სკოლა; N 90 საჯარო სკოლა; N 92 საჯარო სკოლა; N 99 საჯარო სკოლა; N 127 საჯარო სკოლა; N 153 საჯარო სკოლა; N 218 საჯარო სკოლა; N 70 საჯარო სკოლა; N 107 საჯარო სკოლა; N 168 საჯარო სკოლა; N 144 საჯარო სკოლა; N 65 საჯარო სკოლა; N 72 საჯარო სკოლა; N 157 საჯარო სკოლა; N 81 საჯარო სკოლა; N 89 საჯარო სკოლა; N 105 საჯარო სკოლა; N 108 საჯარო

სკოლა; N 145 საჯარო სკოლა; N 146 საჯარო სკოლა; N 179 საჯარო სკოლა; N 180 საჯარო სკოლა; N 117 საჯარო სკოლა; N 152 საჯარო სკოლა; N 215 საჯარო სკოლა; N 216 საჯარო სკოლა; N 219 საჯარო სკოლა; N 217 საჯარო სკოლა; N 5 საჯარო სკოლა; N 8 საჯარო სკოლა; N 9 საჯარო სკოლა; N 12 საჯარო სკოლა; N 112 საჯარო სკოლა; N 113 საჯარო სკოლა; N 14 საჯარო სკოლა; N 143 საჯარო სკოლა; N 48 საჯარო სკოლა; N 138 საჯარო სკოლა; N 79 საჯარო სკოლა; N 191 საჯარო სკოლა; N 39 საჯარო სკოლა; აღნიშნული შეხვედრების ეფექტურობა გაიზომება სექტემბერში, როდესაც დასრულდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პროცესი.

ასევე შემუშავდა პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი. პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით ჩაიწერა ორი ვიდეო რგოლი, ერთი ვიდეო რგოლი მოამზადა პროფესიული უნარების სააგენტომ, ხოლო მეორე ვიდეო რგოლი მომზადდა აკადემიაში. აკადემიაში დაიგეგმა ღია კარის დღე, თუმცა დაინტერესებული პირების მცირე ნაწილი იყო მოსული.

მტკიცებულებები:

www.keoneacademy.ge

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 7 თებერვლის ბრძანება N 1-05

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარების მიზნით 2022 წელს დაგეგმილი იყო აკადემიის ვებ გვერდის განვითარება ქართულ და ინგლისურ ენაზე. აღნიშნული ამოცანა პერმანენტულად ხორციელდება.

მტკიცებულება:

www.keoneacademy.ge

სტრატეგიული მიზანი 4 პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2022 წელს დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

1. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარების კუთხით გადაიხედა აკადემიაში მოქმედი პერსონალის მართვის პოლიტიკის წესი და რადგანაც გამოიკვეთა საჭიროება წესში ცვლილებების შეტანის კუთხით მომზადდა და დამტკიცდა ახალი პერსონალის მართვის პოლიტიკის წესი.

მტკიცებულებები:

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 22 თებერვლის ბრძანება N 1-09

კეონი აკადემიის დირექტორის 2022 წლის 8 ივნისის ბრძანება N 1-21

2. ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების გადამზადება და თანამშრომელთა სტიმულირების მექანიზმების ამოქმედება. პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის 2022 წლის თებერვალში ჩატარდა ტრენინგი თმის ღებვის განახლებული ტექნოლოგია და თმის სპა პროცედურები, რომელსაც დაესწრო სამი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ასევე 2022 წლის ივნისში პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირები გაფრინდნენ ჰოლანდიაში, რათა დასწრებოდნენ მასტერკლასებს. ერთმა პროგრამის განმახორციელებელმა პირმა წარმატებით დაძლია კეონი აკადემიის საერთაშორისო ტრენერის სტატუსის მოპოვების პირველი საფეხური.

აკადემიაში 2022 წლიდან ამოქმედდა თანამშრომელთა სტიმულირების მექანიზმები, კერძოდ საქველმოქედო აქციაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებელს და 2022 წელს სტუდენტური კონფერენციის მომზადებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებელს გადევცა მადლობის სიგელი. რაც შეეხება ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებას შეზღუდული ბიუჯეტიდან გამომდინარე აღნიშნული აქტივობა მიმდინარე წელს ვერ განხორციელდა.

მტკიცებულებები:

სემინარზე დასწრების აღრიცხვის შევსებული ფურცელი;

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;

www.keuneacademy.ge

სტრატეგიული მიზანი 5 პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2022 წელს დაგეგმილია შემდეგი ამოცანები: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარება, ექსტრაკურსული აქტივობების განვითარება და პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარება.

1. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარების კუთხით დაგეგმილი იყო ორი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება. ერთი შეხვედრა ჩატარდა 2022 წლის 8 ნოემბერს, ხოლო მეორე 2022 წლის 22 დეკემბერს. შეხვედრებზე სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები:

2022-2023 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებთან გამართული საინფორმაციო შეხვედრის ოქმი N 13 08.11.22

2022-2023 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებთან გამართული საინფორმაციო შეხვედრის ოქმი N 14 22.12.22

2.ექსტრაკურსული აქტივობების განვითარების მიზნით 2022 წელს დაგეგმილი იყო პროფესიული სტუდენტებისათვის /მსმენელებისათვის ვებინარების/სემინარების ჩატარება. პროფესიულ სტუდენტებს/ მსმენელებს საშუალება ჰქონდათ დასწრებიდნენ სემინარს თმის სპა პროცედურები და თმის დებვის განახლებული ტექნოლოგია. ასევე დაგეგმილი იყო სტუდენტური კონფერენცია რომელიც ჩატარდა 2022 წლის დეკემბერში.

მტკიცებულებები:

info@keuneacademy.ge

www.Keuneacademy.ge

3. პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარების კუთხით მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება და პროფესიულ სტუდენტებისათვის შესათავაზებელი სერვისების იდენტიფიცირება.

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმის განვითარების მიზნით დაგეგმილი იყო დამსაქმებელთა ბაზის განახლება და დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობის გაზრდა. 2022 წელს მოხდა ბაზების განახლება დამატებულია 3 დამსაქმებელი როგორც ეს გეგმით იყო გაწერილი, ხოლო რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმებას (მსმენელი და პროფესიული სტუდენტი) დასაქმების მაჩვენებელი გაზრდილია 10 ით.

მტკიცებულება:

დამსაქმებელთა ბაზა

კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა

4. პროფესიული სტუდენტებისათვის დამატებით შესათავაზებელი სერვისების იდენტიფიცირების კვლევა განხორციელდა 2022 წლის დეკემბერში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა , რომ პროფესიული სტუდენტები კმაყოფილნი არიან აკადემიაში არსებული სტუდენტური სერვისებით.

მტკიცებულება:

ხარისხის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი 22.12.2022 N 12383

2020-2022 წლების მუშაობის შედეგები აკადემიის SWOT ანალიზთან მიმართებაში

ძლიერი მხარეებიდან აღსანიშნავია რომ ეფექტურად გამოიყენება საერთაშორისო პარტნიორი და მისი დახმარებით პერმანენტულად ხორციელდება პროგრამების განმახორციელებელი პირების გადამზადება (ტრენინგების და მასტერკლასების ჩატარება). სწავლების მაღალ ხარისხს ხელს უწყობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემო. დაწყებულია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა, პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული სწავლების კომპონენტს გადიან თანამედროვედ აღჭურვილ სალონებში. დაწყებულია და ეფექტურად ხორციელდება კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა. რაც შეეხება ეფექტურ პიარ კამპანიას აკადემიას ცნობადობის ამაღლების კუთხით ესაჭიროება პიარ კამპანიის გააქტიურება.

შესაძლებლობები ამოქმედებულია პროფესიული მომზადების პროგრამები, შემუშავებულია არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, თუმცა უფლება ჯერ არ არის მოპოვებული. დაწყებულია ზრუნვა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. აკადემია არ არის საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში აქტიურად ჩართული, რაზეც სასურველია ყურდღება გამახვილდეს 2023 წლის სამოქმედო გეგმაში. დაწყებულია ევროპაში არსებული სწავლების ინოვაციური, მეთოდების გაცნობის და დანერგვის ეტაპი.

სუსტი მხარეები: ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირის გამო დაწყებულია მუშაობა სახელმძღვანელოზე, კვლავ დაბალია პედაგოგთა მიერ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების დონე.

საფრთხეები: აღსანიშნავია რომ შეცვლილია სახელმწიფო დაფინანსების წესი კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში და 2020 წლიდან სახელმწიფო უკვე ახდენს პროგრამების თანადაფინანსსებას. რაც შეეხება არასტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობას და სტუდენტების საშუალო განათლების დაბალი დონეს ამ კუთხით ვითარება არ შეცვლილა.